# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 23

“20” თებერვალი 2024 წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2-ში მდებარე 35.10 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2-ში მდებარე 35.10 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №24.93.114 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2, სართული 7, ბინა №83-ში მდებარე 35.10 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ოლეგ მემიაძისთვის (პ/ნ: 61010001824) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე